1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

## მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 15 აპრილი № 12 თბილისი

### შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

72. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ.
73. სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

74. საქართველოს მონადირეთა კავშირის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მოაწყოს მდინარე არაგვის ხეობის სატყეო მასივებში სანიმუშო სანადირო მეურნეობა.
75. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში ამხ. ქ. გ, ბექვაიას, შ. დ. ალაპიშვილის და ა. რ. თოფურიას შეყვანის შესახებ.
76. 1941 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

მარქსის სახ. საქ. სახ. ბიბლიოთეკა
თბილისი

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

**72. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ.**

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მრეწველობის ხაზით სამშენებლო მასალების წარმოების გადიდებისა და მისი ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) შეუდგეს 1941 წელს დიღმის თიხის საბადოს ბაზაზე აგურის ახალი ქარხნის მშენებლობას, რომელიც წელიწადში დაამზადებს 7 მილიონ ცალ აგურს;

ბ) განახორციელოს ქსნის კრამიტის ქარხნის გაფართოება და რეკონსტრუქცია, რისთვისაც დახარჯოს 980 ათასი მანეთი, ამასთან გაადიდოს ქარხნის სიმძლავრე იმგვარად რომ ქარხანამ 1,5 მილიონი ცალი კრამიტის ნაცვლად გამოუშვას 3 მილიონი ცალი კრამიტი;

გ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ გამოყოფილი სახსრების ანგარიშში გააფართოოს თბილისის № 3 აგურის ქარხანა და მოახდინოს მისი რეკონსტრუქცია, რაზედაც დაიხარჯოს 700 ათასი მანეთი იმ ანგარიშით, რომ ქარხნის სიმძლავრე 5 მილიონი ცალიდან აყვანილი იქნას 8 მილიონ ცალ აგურამდე.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველჰყოს:

ა) აგურის № 3 ქარხნის ხაზით: საშრობი მეურნეობის დამთავრება და მთლიანად ამუშავება 1941 წ. 15 აგვისტომდე და გოფმანის ახალი ღუმელის მშენებლობა 1941 წ. 15 ოქტომბრამდე;

ბ) ქსნის კრამიტის ქარხნის ხაზით: 160 ათასი ცალი ნედლი კრამიტის სიმძლავრის საშრობი მეურნეობის და 2 მილიონი ცალი კრამიტის სიმძლავრის გოფმანის ახალი ღუმელის მშენებლობა დაამთავროს 1941 წელს, გოფმანის ღუმელის გაწყობა, 2 კალორიფერის მოწყობა, ახალი საყალიბო წნეხების დადგმა და სხვ. დაამთავროს 1942 წლის პირველ ნახევარში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს (ამხ. ციმაკურიძეს):

ა) ადგილობრივი მრეწველობის საბიუჯეტო დოტაციის ხარჯზე დააფინანსოს ქსნის კრამიტის ქარხნის გაფართოება 500 ათასი მანეთის რაოდენობით;

ბ) უზრუნველჰყოს 1941 წლის საფინანსო გეგმით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების საბრუნავი სახსრების დანაკლისის დაფარვა.

ეროვნული

4. დაევალოს საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს ჩაატაროს დიღომის თიხის საბადოს ნედლეულის დეტალური ტექნოლოგიური შესწავლა და ორი თვის ვადაში უზრუნველჰყოს მარაგის დამტკიცება.

5. დაევალოს საქსახპროექტს (ამხ. გვიჩიას):

ა) განახორციელოს დიღმის აგურის ქარხნის დაპროექტება და ჩააბაროს მზა ტექნიკური პროექტი 1941 წ. 15 აგვისტომდე;

ბ) ერთი თვის ვადაში შეადგინოს № 3 აგურის ქარხნის და ქსნის კრამიტის ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს მონაწილეობით განიხილოს და დაამტკიცოს ქსნის კრამიტის ქარხნის, № 3 აგურის ქარხნის, აგრეთვე დიღმის აგურის ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის პროექტი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში მოამზადოს დიღომში, მუხის-გვერდის ნაკვეთზე, აგურის ქარხნის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის საკითხი და თავისი წინადადება წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოთა რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესდეს 1941 წ. 1 აპრილიდან ადგილობრივი სამშენებლო მასალის შემდეგი გასაცემი ფასები:

1. აგური . . . . . . . . . . . . . 104 მან. ათას ცალში
2. მარსელის კრამიტი:
    ქსნის ქარხნისა . . . . . . . 450 მან. ათას ცალში
    ბადიაურის ქარხნისა . . . . . 550 მან. ათას ცალში
3. ქვაყორე . . . . . . . . . . . 9 მან. კუბ. მეტრში.

9. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე ამოცანად დაისახოს დამატებითი სახსრების გამოძებნა ადგილობრივი სამშენებლო მასალების საწარმოების გასაფართოებლად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისა და საგასავლო ნაწილის ეკონომიის ხარჯზე.

10. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ნება დართონ, რათა აშენდეს აგურის ახალი ქარხანა დიღომში და მოხდეს ქსნის კრამიტის ქარხნის რეკონსტრუქცია, ამასთან შეტანონ ეს ობიექტები 1941 წლის სატიტულო სიაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
**ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
**კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 20 მარტი. № 483.
თბილისი.

№ 12
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 73. სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1941 წლის 14 მარტს „სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ მიღებული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების საშუალო წლიური ნორმა, რაც დაწესებულია საქართველოს სს რესპუბლიკისათვის 5 ცალის რაოდენობით ერთი ჰექტარი სახნავი მიწიდან და რაც გამოიანგარიშება „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის დადგენილების მე-2 მუხლისა (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 9, მუხ. 236) და „კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლის, ბრინჯის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და თივის იმ ფართობებიდან სავალდებულო ჩაბარებათა განთავისუფლების შესახებ რომლებზედაც მოყვანილია სვია“. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 სექტემბრის დადგენილების (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 25, მუხ. 615), შესაბამისად, გავრცელდეს უდიფერენციაციოდ საქართველოს სსრ ყველა რაიონზე.

2. კოლმეურნეობათა მიერ კვერცხის სავალდებულო ჩაბარების დაწესებული რაიონობრივი ნორმები, როგორც წესი, გამოყენებულ იქნას რაიონის ყველა კოლმეურნეობის მიმართ.

ცალკეული კოლმეურნეობებისათვის, გამონაკლისის წესით, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის დასტურით, დაშვებული იქნას კვერცხის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმის გადიდება ან შემცირება 30% ფარგლებში ისე, რომ აუცილებლად იქნას დაცული კვერცხის სავალდებულო ჩაბარების საშუალოდ რაიონისათვის დამტკიცებული წლიური ნორმა.

3. დაწესდეს, 1941 წლიდან დაწყებული, საკოლმეურნეო კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების საშუალო რაიონობრივი წლიური ნორმები.

| რაიონები | ცალობით<br>საკოლმეურნეო კომლები | ცალობით<br>ერთპიროვნული მეურნეობანი |
|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | | |
| 2. ბაშკიჩეთის | | |
| 3. ბოგდანოვკის | 100 | 120 |
| 4. ბორჩალოს | | |
| 5. ყარაიის | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | ც ა ლ ო ბ ი თ | |
|---|---|---|
| | საკოლმეურნეო კომლები | ერთპიროვნული მეურნეობანი |
| 6. ლუქსემბურგის | | |
| 7. საგარეჯოს | | |
| 8. სიღნაღის | | |
| 9. თბილისის | | |
| 10. თეთრიწყაროს | 100 | 120 |
| 11. თიანეთის | | |
| 12. წალკის | | |
| 13. წითელ წყაროს | | |
| II | | |
| 14. აბაშის | | |
| 15. ბორჯომის | | |
| 16. ვანის | | |
| 17. გაგრის | | |
| 18. გალის | | |
| 19. გეგეჭკორის | | |
| 20. გორის | | |
| 21. გუდაუთის | | |
| 22. გურჯაანის | | |
| 23. დუშეთის | | |
| 24. ჯავის | | |
| 25. ზნაურის | | |
| 26. ზუგდიდის | | |
| 27. ქარელის | 75 | 100 |
| 28. კასპის | | |
| 29. ყვარელის | | |
| 30. ქუთაისის | | |
| 31. ლაგოდეხის | | |
| 32. ლანჩხუთის | | |
| 33. ლენინგორის | | |
| 34. მცხეთის | | |
| 35. ოჩემჩირის | | |
| 36. სამტრედიის | | |
| 37. საჩხერის | | |
| 38. სტალინირის | | |
| 39. სოხუმის | | |
| 40. თელავის | | |
| 41. ხაშურის | | |

№12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

| რაიონები | ცალობით<br>საკოლმეურნეო<br>კომლები | ცალობით<br>ერთპიროვნული<br>მეურნეობანი |
|---|---|---|
| 42. ხობის | | |
| 43. წულუკიძის | | |
| 44. ცხაკაიას | 75 | 100 |
| 45. ჩხარის | | |
| 46. წყალტუბოს | | |
| III | | |
| 47. ადიგენის | | |
| 48. ამბროლაურის | | |
| 49. ასპინძის | | |
| 50. ახალციხის | | |
| 51. ბათუმის | | |
| 52. ზესტაფონის | | |
| 53. ქედის | | |
| 54. ქობულეთის | | |
| 55. მახარაძის | | |
| 56. მაიაკოვსკის | 55 | 70 |
| 57. ონის | | |
| 58. ორჯონიკიძის | | |
| 59. ფოთის | | |
| 60. ტყიბულის | | |
| 61. ცაგერის | | |
| 62. წალენჯიხის | | |
| 63. ხულოს | | |
| 64. შიათურის | | |
| 65. ჩოხატაურის | | |
| 66. ჩხოროწყუს | | |

4. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს:

ა) ნება დაერთოს, რათა კვერცხის სავალდებულო ჩაბარებისაგან განთავისუფლებულ იქნან ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის რაიონების კოლმეურნეობანი, საკოლმეურნეო კომლები და ერთპიროვნული მეურნეობანი, აგრეთვე დუშეთის, თიანეთის და თელავის რაიონების ხევსურთა სოფლები და თელავის რაიონის მთათუშეთის სოფლები.

ბ) დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმები.

საქ. სსრ ს.კ-ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 20 მარტი. № 478.
თბილისი.

---

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**74. საქართველოს მონადირეთა კავშირის შუამდგომლობის შესახებ, რათა ნება დაერთოს მოაწყოს მდინარე არაგვის ხეობის სატყეო მასივებში სანიმუშო სანადირო მეურნეობა.**

სანიმუშო სანადირო მეურნეობის მოწყობის, ფაუნის დაცვისა და მისი შემდგომი გამრავლების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სახელშეკრულებო საფუძვლებზე გადასცეს მონადირეთა სარეწაო კოოპერაციის საქართველოს კავშირს გრძელვადიან უფასო სარგებლობაში ძვირფასი ფაუნიანი სანადირო სავარგულები, რომლებიც მდებარეობენ მცხეთისა და დუშეთის რაიონებში შემდეგი საზღვრებით: სამხრეთით—საგურამოს (ზედაზნის) ქედი და მისი გაგრძელება სამხედრო გზატკეცილამდე; აღმოსავლეთით აძევის ქედი (მდინარე არაგვისა და იორის წყალგამყოფი) და საბადურის მთის დასავლეთი ფერდობები; ჩრდილოეთით—მდინარე ცერდალის ხევის ხეობა და დასავლეთით საქართველოს სამხედრო გზა სოფელ ბოდორნიდან საგურამოს ქედის დასაწყისის გაწედამდე.

**2.** წინადადება მიეცეს მონკავშირს მოაწყოს არაგვის მასივის მისთვის გადაცემულ სანადირო სავარგულებში საჩვენებელი სანადირო მეურნეობა.

**3.** დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწის სახელმწიფო ინსპექციას დასდოს მონკავშირთან ხელშეკრულება საჩვენებელი სანადირო მეურნეობის მოწყობის საკითხზე, ამ დადგენილების თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 17 მარტი. № 437.
თბილისი.

საჯარო

№ 12

**75.** **საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში ამხ. კ. გ. ბეჭვაიას, შ. დ. ალაპიშვილის და ა. რ. თოფურიას შეყვანის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეყვანილ იქნან საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შემდეგი ამხანაგები: კ. გ. ბეჭვაია (სახალხო კომისრის მოადგილე), შ. დ. ალაპიშვილი (სახალხო კომისრის მოადგილე) და ა. რ. თოფურია (II საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი).

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 24 მარტი. № 488.
თბილისი.

---

**76.** **1941 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში 1941 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 15554 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მეთამბაქოობის ცალკეულ რაიონებს შორის, თანახმად დანართისა № 1.

2. დამტკიცდეს 1941 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I ხარისხის | — | 69,7 | ტონა | 0,45% |
| II | „ | — 500,3 | „ | 3,22% |
| III | „ | — 2941,8 | „ | 18,91% |
| IV | „ | — 10547,2 | „ | 67,81% |
| V | „ | — 1495,0 | „ | 9,61% |

და ეს გეგმა განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 2.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს დააწესონ თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმები მეთამბაქოობის ცალკეული რაიონებისათვის, ხოლო მეთამბაქოობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ყველა რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოახდინონ ჩაბარების საშუალო-რაიონული ნორმებისა და დაკონტრაქტებული თამბაქოს ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ—ცალკეული სასოფლო საბ-

ქოების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ თითო ჰექტარზე თამბაქოს ჩაბარების ნორმები ერთპიროვნული მეურნეობებისათვის უნდა იყოს კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე 10%-ით მეტი.

4. დამტკიცდეს ერთი ტონა დაკონტრაქტებულ თამბაქოში ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის ოდენობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის—1700 მანეთი, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისათვის—1000 მანეთი ტრაპიზონის ჯიშის თამბაქოში და 1559 მანეთი სამსუნის ჯიშის თამბაქოში.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს დააწესოს ბოტანიკური ჯიშისათვის ფულადი ავანსის ოდენობა.

დაწესდეს რომ კოლმეურნეობებისათვის ერთი ტონა დაკონტრაქტებულ თამბაქოში ფულადი ავანსის ნორმები უნდა იყოს ერთპიროვნულ მეურნეობათა ნორმებზე 30%-ით მეტი.

5. დაწესდეს საქართველოს სსრ მეთამბაქოების ყველა რაიონებისათვის ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი ნორმები:

1941 წლის მარტსა და აპრილში—ავანსის საერთო თანხის 20%—ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

1941 წლის მაისში—ავანსის საერთო თანხის 40% დასარგავად.

1941 წლის ივლის-აგვისტოში—ავანსის საერთო თანხის 40% თამბაქოს ასაღებად და დასამუშავებლად.

6. დაევალოს საქთამბაქონედლეულს გასცეს ავანსები იმის შემოწმების შედეგების მტკიცე შესაბამისობით, თუ როგორ შეასრულეს კონტრაქტანტებმა თამბაქოს დარგვის, დამუშავებისა და აღების სამუშაოები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, დარგული ფართობის აზომვისა და ძირების გამოანგარიშების გულმოდგინედ ჩატარებას.

7. შენარჩუნებულ იქნას 1941 წლისათვის 1940 წელს მოქმედი ხარისხობრივი დასამზადებელი ფასები, ჯილდო-წანამატების გაცემის წესი, საკონტრაქტაციო ფულადი ავანსების დაფარვის წესები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა ტექსტი.

8. წინადადება მიეცეს საქთამბაქონედლეულს გაითვალისწინოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში თამბაქოს ჩაბარების შემდეგი თვიური ვადები:

(წლიური გეგმის პროცენტულად)

| | 1941 წ. ოქტომბერში | 1941 წ. ნოემბერში | 1941 წ. დეკემბერში | 1942 წ. იანვარში | 1942 წ. თებერვალში | 1942 წ. 10 მარტამდე |
|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ რაიონებისათვის . . | 10 | 15 | 25 | 25 | 20 | 5 |
| საქ. სსრ რაიონებისათვის აფხაზეთის ასსრ გამოკლებით . . . . . | 15 | 20 | 25 | 20 | 20 | — |

№ 12
ეროვნული

9. დაევალოს საქთამბაქნედლეულს 1941 წლის 10 აპრილისათვის დაამთავროს თამბაქოს კონტრაქტაცია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.
საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 17 მარტი. № 457
თბილისი.

---

დანართი № 1.

**1941 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა.**

| ავტ. რესპუბლიკების და რაიონების დასახელება | დარგვის გეგმა (ჰექტარებში) | თამბაქოს ჩაბარ. გეგმა ჰექტარ. (ცენტნერებში) | თამბაქოს კონტრაქტაციის და დამზადების გეგმა (ტონა) |
|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . | 11430 | 6,5 | 7430 |
| აჭარის ასსრ . . . . . . . . . . | 885 | 7,0 | 620 |
| ზუგდიდის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 5,0 | 50 |
| ჩოხატაურის „ . . . . . . . . . | 150 | 5,0 | 75 |
| გურჯაანის „ . . . . . . . . . | 120 | 7,0 | 84 |
| სიღნაღის „ . . . . . . . . . | 1190 | 7,5 | 892 |
| წითელწყაროს „ . . . . . . . . . | 205 | 7,5 | 154 |
| ყვარელის „ . . . . . . . . . | 470 | 8,5 | 400 |
| ლაგოდეხის „ . . . . . . . . . | 3300 | 9,7 | 3201 |
| ბორჩალოს „ . . . . . . . . . | 2400 | 9,2 | 2208 |
| ლიუქსემბურგის „ . . . . . . . . . | 550 | 8,0 | 440 |
| სულ საქ. სსრ-ში . . . . . . | 20800 | 7.48 | 15554 |

დანართი № 2.

ც ე ც ზ ა

**საქართველოს სს რესპუბლიკაში 1941 წლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების ხარისხის მიხედვით**

| ავტონომ. რესპუბ. და რაიონების დასახელება | I ხარისხი | | II ხარისხი | | III ხარისხი | | IV ხარისხი | | V ხარისხი | | სულ ტონა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტონა | % | ტონა | % | ტონა | % | ტონა | % | ტონა | % | |
| აფხაზეთის ასსრ . . . . . | 37,2 | 0,5 | 297,2 | 4,0 | 1642.0 | 22,1 | 4933.5 | 66,4 | 520.1 | 7,0 | 7430 |
| აჭარის ასსრ . . . . . | 2,5 | 0,4 | 16,7 | 2,7 | 93.0 | 15,0 | 446.4 | 72,0 | 61.4 | 9,9 | 620 |
| ზუგდიდის რაიონი . . . . | 0,1 | 0,3 | 1,0 | 2,0 | 6.5 | 13,0 | 36.9 | 73,7 | 5.5 | 11,0 | 50 |
| ჩოხატაურის „ . . . . | 0,1 | 0,2 | 1,5 | 2,0 | 9.7 | 13,0 | 57.0 | 75,8 | 6.7 | 9,0 | 75 |
| გურჯაანის „ . . . . . | 0,1 | 0,1 | 0,8 | 1,0 | 6.7 | 8,0 | 65.5 | 77,9 | 10.9 | 13,0 | 84 |
| სიღნაღის „ . . . . | 1,8 | 0,2 | 13,4 | 1,5 | 124.8 | 14,0 | 650.3 | 72,9 | 101.7 | 11,4 | 892 |
| წითელწყაროს „ . . . | 0,3 | 0,2 | 2,3 | 1,5 | 23.1 | 15,0 | 108.3 | 70,3 | 20.0 | 13,0 | 154 |
| ყვარლის „ . . . . | 0,4 | 0,1 | 6,4 | 1,6 | 42.8 | 10,7 | 302.4 | 75,6 | 48.0 | 12,0 | 400 |
| ლაგოდეხის „ . . . . . | 22,4 | 0,7 | 112,0 | 3,5 | 640.2 | 20,0 | 2128.7 | 66,5 | 297.7 | 9,3 | 3201 |
| ბორჩალოს „ . . . . . | 4,4 | 0,2 | 44,2 | 2,0 | 309.0 | 14,0 | 1501.4 | 68,0 | 349.0 | 15,8 | 2208 |
| ლუქსემბურგის „ . . . | 0,4 | 0,1 | 4,8 | 1,1 | 44.0 | 10,0 | 316.8 | 72,0 | 74.0 | 16,8 | 440 |
| სულ საქართველოს სსრ-ში . . . . | 69,7 | 0,45 | 500,3 | 3,22 | 2941.8 | 18,91 | 10547.2 | 67,81 | 1495.0 | 9,61 | 15554 |

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელმწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 942. ტირაჟი 1.600.